



დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

სს ქართული ფილმი

აქციონერებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2024 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 06 ივნისს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგი, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ კონსოლიდირებულ ფინანსური ნაწილის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველ არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, და
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მარეხი გურული (რეესტრში რეგისტრაციის #SARAS-A-702964)

შპს „კაუნთინგ-ჰაუსის“ სახელით

2025 წლის 06 ივნისი

- თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა გარემოებები

სს „ქართული ფილმ“-ის სააქციო კაპიტალი რეალურად შედგენს 12,898,870 ლარს, ხოლო საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 12,899,020 ლარი. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის მარეხი გურული (SARAS-A-702964)

შპს „ქაუნთინგ-პაუსის“-სახელით
2025 წლის 06 ივნისი

სს ქართული ფილმი
2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

	გვერდი
ჯგუფის ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა	3
ჯგუფის საქმიანობა, მომსახურებები, პროდუქტები	3
ჯგუფის საკადრო პოლიტიკა	4
ჯგუფის მომხმარებლები	5
მნიშვნელოვანი მოვლენები	5
ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლები	5
ჯგუფის განვითარების გეგმა	5



დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

სს ქართული ფილმი

აქციონერებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2024 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 06 ივნისს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგი, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ კონსოლიდირებულ ფინანსური ნაწილის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველ არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, და
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მარეზი გურული (რეესტრში რეგისტრაციის #SARAS-A-702964)

შპს „კაუნთინგ-ჰაუსის“ სახელით

2025 წლის 06 ივნისი

1. ჯგუფის ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება წარმოდგენილია სს „ქართული ფილმის“ მიერ (ს/კ 202054196). სს „ქართული ფილმის“ 100%-იან მესაკუთრეს წარმოადგენს სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“ (ს/კ 400051199), რომლის 100%-იან მესაკუთრეს წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტრო (სახელმწიფო ქონების სააგენტო). სს „ქართული ფილმი“ რეგისტრირებულია 1995 წლის 18 ივლისს დიდუბის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის N2/4-38. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 202054196. იურიდიული მისამართია - ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ახმეტელის ქ., N10ა.

სს „ქართული ფილმის“ შვილობილ კომპანიებს წარმოადგენენ შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონება“ (ს/კ 201945262) (100%-იანი დამფუძნებელი) და შპს „მემატიანე“ (ს/კ 201953626) (100%-იანი დამფუძნებელი).

სს „ქართული ფილმი“ არის „კინოსტუდია ქართული ფილმის“ სამართალმემკვიდრე.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ არის საქართველოში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ერთ-ერთი დიდი მწარმოებელი კინოსტუდია. „ქართულ ფილმში“ გადაღებულია 800-მდე მხატვრული, 500-მდე მოკლემეტრაჟიანი, 2600-მდე დოკუმენტური-სამეცნიერო პოპულარული და ანიმაციური ფილმი.

სს „ქართული ფილმი“ რეგისტრირებულია 1995 წლის 18 ივლისს, ხოლო ცვლილებები რეგისტრირებულია 2001 წლის 2 თებერვალს.

ორგანიზაციის მმართველობას ახორციელებს აქციონერთა კრება და დირექტორთა საბჭო, აქციონერთა კრება (წარმოდგენილია სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ სახით) ნიშნავს დირექტორთა საბჭოს.

სს „ქართული ფილმის“ დირექტორთა საბჭო შედგება სამი წევრისგან. დირექტორთა საბჭოს მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

შპს „ქართული ფილმი - უძრავი ქონების“ დამფუძნებელია სს „ქართული ფილმი“. შპს „ქართული ფილმი უძრავი- ქონება“ რეგისტრირებულია 1995 წელს.

კომპანიის მმართველობას ახორციელებს პარტნიორთა კრება და დირექტორი, დირექტორს აქვს შეზღუდული უფლებამოსილება მმართველობით ნაწილში.

2. ჯგუფის საქმიანობა, მომსახურებები, პროდუქტები

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ქართული კინომემკვიდრეობის მოვლა, საქართველოში კინოინდუსტრიის განვითარება და მაღალმხატვრული ღირებულებების მქონე ფილმების შექმნა.

ამჟამად სს „ქართული ფილმი“ ახორციელებს სხვადასხვა ტიპის მომსახურებას: კინოწარმოების, პოსტპროდუქშენის, კინოფილმების დისტრიბუციის, ასევე პროექტებს კინომემკვიდრეობის დაცვის, მოვლისა და რესტავრაციის კუთხით. სტუდიამ მნიშვნელოვანი წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, რისი შედეგიცაა სს „ქართული ფილმის“ ჩართულობა მსოფლიო კინოპროცესებში.

შპს „ქართული ფილმი - უძრავი ქონების“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა, კომპანიის ბალანსზე

არსებული უძრავი ქონების მართვა, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა, განვითარება და არსებულ ინფრასტრუქტურაში შემავალი შენობა-ნაგებობების ფუნქციონალური დატვირთვა.

სს „ქართული ფილმი“ ფუნქციონირებს, როგორც კინომწარმოებელი და ასევე კინოსერვისის საწარმო.

საწარმო მომსახურეობას უწევს სხვა კინომწარმოებებს და უზრუნველყოფს მას პავილიონებით, ხმის, ხმაურებისა და მუსიკის ჩამწერი დარბაზებით, რეკვიზიტით, კოსტიუმით, საჭირო აპარატურის ნაწილით, როგორიცაა კამერები და მისი აქსესუარები, ობიექტივები, და სხვა.

თუ საქართველოში ეპოქალური კინოს იღებენ, ისინი აუცილებლად იყენებენ „ქართული ფილმის“ კოსტუმებს, იარაღსა და რეკვიზიტს.

აღსანიშნავია მონტაჟისა და ფერის კორექციის სერვისიც (პოსტპროდუქშენი), რომელიც დატვირთულია, როგორც შიდა პროდუქციით, ასევე შემოსული დაკვეთებით.

კინოსტუდიას გააჩნია კინოფირის პროფესიონალური სკანერები (8 მმ, 16 მმ და 35 მმ), რომელიც

ამჟამად შესაკეთებელია, არ მუშაობს. სასურველია მისი შეცვლა უფრო თანამედროვე სკანერით, რომელიც დღევანდელ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს. სკანერი საშუალებას მოგვცემს უმაღლესი ხარისხის ციფრულ ფორმატში გადავიყვანოთ კინოკამერით გადაღებული ფილმები. ეს ტექნოლოგია გვადგება, როგორც ახალი გადაღებული ფილმის ციფრულ ფორმატში მონტაჟისთვის, ასევე ძველი გამოსახულების სარესტავრაციოდ.

ქართული ფილმის განახლებულ კინოსაცავში დაცულია კინომემკვიდრეობა, რომლის აღდგენა, შენახვა, კონცერვაციის სწორი მენეჯმენტისთვის 2 წელი ზედიზედ სტუდიამ მიიღო ISO სერთიფიკატი. სტუდიას დაწყებული აქვს ქართული კლასიკური ანიმაციური ფილმების აღდგენა, რათა საუკუნისთვის შესაფერი ესტეტიკით მიეწოდოს მომავალ თაობას და შეიყვაროს ქართული კინოკულტურა. გარდა ამისა, გათვლილია მათი რესტავრაციის შემდეგ დისტრიბუციიდან მისაღებ კომერციულ შემოსავლებზე, როგორც საქართველოს სატელევიზიო სივრციდან, ისე საზღვრებს მიღმა არსებულ სატელევიზიო და ინტერნეტ ბაზრობებზე.

ასევე კონკურენტგარეშეა სტუდიის პავილიონები და ხმის ჩამწერი სტუდიები.

სტუდია გადამღებ ჯგუფებს სთავაზობს კასტინგისა და საოფისე ფართით მომსახურეობებსაც.

3. ჯგუფის საკადრო პოლიტიკა

ჯგუფი ცდილობს თანამშრომლების წახალისებას პრემიების სახით, რაც მკაცრადაა განსაზღვრული და გაიცემა მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირი ზედმიწევნით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, მოცემულ დროში საქმიანობის ხარისხიანად შესრულებისთვის სჭირდება დამატებითი სამუშაო დრო და განსაკუთრებული უნარების გამოვლენა და ა.შ.

კინოსტუდიის ბაზაზე დაარსდა ვებგვერდი კინოკრიტიკოსებისათვის, რომელზე დასაქმდა საქართველოში მოღვაწე თითქმის ყველა კინომცოდნე და დაიწყო ქართული ფილმების რეცენზიების წერა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ასევე დასაქმდნენ კინომცოდნეობის სტუდენტები, რომლებსა საშუალება მიეცათ წეროს სტიდენტურ კინოზე, ეს სრულიად ახალი ნაბიჯი და სიტყვაა კინოკრიტიკის ისტორიაში.

სტუდენტიც და პროფესიონალი კინოკრიტიკოსიც იღებენ ჰონორარს და ეს რა თქმა უნდა, ზრდის დაინტერესებას.

ვებგვერდი დაფინანსდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ.

www.gfr.ge

დღეისათვის ვებგვერდზე 100 მეტი სტატიაა განთავსებული

4. ჯგუფის მომხმარებლები

ჯგუფის მომხმარებლები ძირითადად არიან საქართველოში მოღვაწე კინომწარმოებელი კომპანები, ტელევიზიები, ასევე კერძო ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ სტუდიის სხვადასხვა სერვისით.

ბოლო დროს გახშირდა უცხოეთიდან საქართველოში ფილმის გადამღება რიცხვი. სტუდია გამოყენებაში სთავაზობს საოფისე ფართებსა და პავილიონებს, კოსტიუმებს, რეკვიზიტსა და იარაღს, ასევე მაღალი დონის სამონტაჟო მაგიდას და ოფისს და ფერის კორექციის სერვისს.

5. მნიშვნელოვანი მოვლენები

სააქციო საზოგადოების აქციები, ეკონომიკის სამინისტრომ მართვაში გადასცა ახალ პარტნიორს - საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

სტუდიის ხელმძღვანელობამ მოამზადა ახალი შეთავაზება სს "ქართული ფილმის" მმართველობითი სტრუქტურის ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც შეთანხმდა ახალ პარტნიორთან.

მიმდინარეობს კინოსტუდიის მფლობელობაში არსებული კინოფირების გადარჩევის, სისტემატიზაციის და ელ. კატალოგიზაციის პროცესი.

შედგა მოლაპარაკება შვეიცარიულ კომპანია "ფონსარტთან" თანამშრომლობის შესახებ. ჟენევის ფონდს — „Fonsart“-ს აქვს შვეიცარიის აუდიოვიზუალური მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და გამოყენების უნიკალური გამოცდილება. „Fonsart“-ის ექსპერტი 2023 წლის 11/12 სექტემბერს კინოსტუდიაში გახლდათ და დაათვალიერა ფირსაცავი, ველოდებით ექსპერტის დასკვნას სამომავლო ნაბიჯების გადასადგმელად.

6. ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

- 2024 წლის ამონაგებმა შეადგინა 1,914,809 ლარი, 2023 წლისამ - 2,023,094 ლარი. ამონაგები შემცირდა მცირედით;
- 2024 წელს წმინდა ზარალი იყო 236,426 ლარი, ხოლო 2023 წელს წმინდა ზარალი იყო 17,920,581 ლარი.
- ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობიდან არის შემცირებული წინა წელთან შედარებით (2024 წელს (63,954) ლარი, ხოლო 2023 წელს - 136,312 ლარი).

5. ჯგუფის განვითარების გეგმა

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია გაწერილი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა

რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება:

1. არსებული იურიდიული მართვის სტრუქტურის შეცვლა და ახალ, შემუშავებულ მოდელზე გადასვლა.
2. კინოსარესტავრაციო სააგენტოს განვითარება (ამისთვის არსებობს ცალკე ბიზნეს-გეგმა), როგორც ტექნიკური, ისე ადამიანური რესურსების გაზრდის კუთხით.
3. ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმა, რაც გულისხმობს არსებული ტერიტორიის მაქსიმალურ ათვისებას კინოინდუსტრიაში საჭირო შენობა-ნაგებობის აშენება- მოდერნიზაციის კუთხით, ინვესტორთათვის საინტერესო წინადადებების მომზადება.
4. ნაწარმოები კინოფილმების გასაღების ახალი ბაზრების მოძიება და დისტრიბუცია.
5. კინოწარმოების სერვისების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდა.
6. შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას ანიმაციური ფილმების წარმოების კუთხით (ამისთვისაც არსებობს პროექტი “იასამნისფერი ზონა”)
7. თანამშრომლების გადამზადებაზე ზრუნვა, რათა სტუდია არ ჩამორჩეს თანამედროვე კინოპროცესებსა და ტექნოლოგიებს.
8. მოძველებული აპარატურის აუქციონზე გატანა და ფინანსების მობილიზება ახალი ტექნიკის შესაძენად.
9. ფინანსების მოძიება ახალი და არსებული პროექტების განსახორციელებლად.

დირექტორთა საბჭო:

თავმჯდომარე/დირექტორი:

ხათუნა ხუნდაძე

დირექტორი:

გიორგი ხარებავა

დირექტორი:

მერაბ კოკოჩაშვილი

სს ქართული ფილმი
2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ქართული ფილმი

აქციონერებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სს ქართული ფილმის (შემდგომში - „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ჯგუფის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ჯგუფის ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ მოცემული თითოეული საკითხისთვის, განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი

პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის, ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები წარმოადგენს თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

უძრავი ქონების შეფასება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფმა დაიჭირა და მოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების შესაფასებლად. აღნიშნული შეფასება მნიშვნელოვანი იყო ჩვენი აუდიტისთვის, გამომდინარე იქიდან რომ შეფასების პროცესი არის რთული და მოიცავს მრავალ დაშვებებს. შედეგად, ჩვენი აუდიტის პროცედურები მოიცავდა ჯგუფის მიერ გაკეთებული დაშვებების და ვარაუდების კრიტიკულ შეფასებას.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება.

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

ჯგუფი წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. მმართველობით ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაციის მიღებას ჩვენი აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ ველით.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრეფთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით.

თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა გარემოებები

სს „ქართული ფილმ“-ის სააქციო კაპიტალი რეალურად შედგენს 12,898,870 ლარს, ხოლო საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 12,899,020 ლარი. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის მარეხი გურული (SARAS-A-702964)

შპს „ქაუნთინგ-ჰაუსის“ სახელით

2025 წლის 06 ივნისი

სს ქართული ფილმი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (1 ლარი)

2024 წლის 31 დეკემბერი

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	429 269	656 437	5
სავაჭრო მოთხოვნები	494 918	457 781	6
მარაგები	8 177	8 889	
საგადასახადო აქტივები	6	86	
გადახდილი ავანსები	43 497	12 781	
სხვა მიმდინარე აქტივები	17 915	11 279	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	993 783	1 147 252	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	16 755 514	16 757 580	7
არამატერიალური აქტივები	1 570 366	1 462 944	8
საინვესტიციო ქონება	54 978 102	55 201 222	9
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6 739	6 739	10
გრძელვადიანი აქტივები სულ:	73 310 721	73 428 484	
აქტივები სულ:	74 304 503	74 575 736	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	72 628	68 759	11
საგადასახადო ვალდებულებები	9 207	32 743	12
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	40 072	55 213	13
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	121 908	156 714	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	44 274	44 274	14
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	44 274	44 274	
კაპიტალი და რეზერვები:			
სააქციო კაპიტალი	12 898 870	12 898 870	15
გადაფასების რეზერვი	12 010 377	12 010 377	
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	49 229 075	49 465 501	
კაპიტალი სულ:	74 138 322	74 374 748	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	74 304 503	74 575 736	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 06 ივნისს
დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორთა საბჭო:

თავმჯდომარე/წევრი:

ხათუნა ხუნდაძე

წევრი:

გიორგი ხარებავა

წევრი:

მერაბ კოკოჩაშვილი

11-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

სს ქართული ფილმი
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება (1 ლარი)
2024 წლის 31 დეკემბერი

	2024 წელი	2023 წელი	შენიშვნა
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1 914 809	2 023 094	16
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	1 914 809	2 023 094	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 229 436)	(1 115 996)	17
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი	(61 368)	11 231	
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შემოსავალი/(ხარჯი)	(901 644)	(885 925)	18
სხვა საოპერაციო ხარჯები	(277 638)	32 403	
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან			
ფინანსური შემოსავალი	2 261	3 179	
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	358	127	
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	62 678	(17 937 497)	19
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(212 340)	(17 901 789)	
მოგების გადასახადი	(24 085)	(18 792)	
წლის წმინდა მოგება	(236 426)	(17 920 581)	
წლის სრული შემოსავალი	(236 426)	(17 920 581)	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 06 ივნისს
დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორთა საბჭო:

თავმჯდომარე/წევრი:	ხათუნა ხუნდაძე
წევრი:	გიორგი ხარებავა
წევრი:	მერაბ კოკოჩაშვილი

11-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

სს ქართული ფილმი
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (1 ლარი)
2024 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022-თვის	12 898 870	12 010 377	67 386 081	92 295 328
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	-	(17 920 581)	(17 920 581)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	12 898 870	12 010 377	49 465 500	74 374 747
ნაშთი 31.12.2023-თვის	12 898 870	12 010 377	49 465 500	74 374 747
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	-	(236 426)	(236 426)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	12 898 870	12 010 377	49 229 075	74 138 322
ნაშთი 31.12.2024-თვის	12 898 870	12 010 377	49 229 075	74 138 322

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 06 ივნისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორთა საბჭო:

- თავმჯდომარე/წევრი:ხათუნა ხუნდაძე
- წევრი:გიორგი ხარებავა
- წევრი:მერაბ კოკოჩაშვილი

11-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ქართული ფილმი

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (1 ლარი)

2024 წლის 31 დეკემბერი

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მყიდველებისგან/მომსახურების მიმღებებისგან	2 134 745	2 255 646
მიღებული დაფინანსება	109 723	60 000
გადახდილი თანხები მომწოდებელზე/მომსახურების გამწევზე	(1 121 121)	(981 255)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(601 818)	(611 328)
თანამშრომლისგან მიღებული ფულადი სახსრები	8	5 276
გადახდილი გადასახადები	(579 577)	(560 061)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(5 914)	(31 966)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(63 954)	136 312
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(165 834)	(85 624)
მიღებული პროცენტები	2 261	3 178
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(163 573)	(82 446)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/(კლება)	358	127
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ნაზრდი:	(227 168)	53 993
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	656 436	602 443
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს:	429 268	656 436

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 06 ივნისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორთა საბჭო:

თავმჯდომარე/წევრი:	ხათუნა ხუნდაძე
წევრი:	გიორგი ხარებავა
წევრი:	მერაბ კოკოჩაშვილი

11-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. შესავალი

ჯგუფი და მისი ოპერაციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია სს „ქართული ფილმის“ მიერ. სს „ქართული ფილმის“ 100%-იანი დამფუძნებელია სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“ (ს/კ 400051199), რომლის 100%-იან მესაკუთრეს წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტრო (სახელმწიფო ქონების სააგენტო). სს „ქართული ფილმი“ რეგისტრირებულია 1995 წლის 18 ივლისს დიდუბის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის N2/4-38. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 202054196. იურიდიული მისამართია - ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ახმეტელის ქ., N10ა.

კომპანიის მმართველობას ახორციელებს აქციონერთა კრება და დირექტორთა საბჭო. სს „ქართული ფილმის“ დირექტორთა საბჭო შედგება სამი წევრისაგან.

სს „ქართული ფილმის“ აქციათა რეეტრს აწარმოებს თავად კომპანია, გამოშვებული აქციების რაოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 12 898 870 ცალს.

სს „ქართული ფილმის“ შვილობილი საწარმოა შპს „ქართული ფილმი - უძრავი ქონება“ (ს/კ 201945262) და შპს „კინოსტუდია მემატიაწე“ (ს/კ 201953626). სს „ქართული ფილმი“ არის ასევე 20-მდე ორგანიზაციის დამფუძნებელი (თეატრალური კოსტიუმებისა და აქსესუარების პროფესიული სკოლა, ააიპ ასოციაცია "კინოსოფელი ბროწეულა", ააიპ ასოციაცია "კინოსოფელი ბროწეულა", საქართველოს ანტიმეკობრული ცენტრი, შპს თერჯოლის კინოვიდეო, შპს ბოლნისის კინოვიდეო, შპს ქართული ფილმი-უძრავი ქონება, შპს კინოსტუდია მემატიაწე, კინოვიდეო ცენტრი "თბილისი", შპს აბაშის კინოვიდეო, შპს ქართული ფილმი საავტორო უფლებათა რეალიზაციის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შპს ხაშურის კინოვიდეო, შპს ამბროლაურის კინოვიდეო, შპს ტყიბულის კინოვიდეო, შპს კინოვიდეორემონტაჟი), რომელთაგან არც ერთი არ ეწევა სამეწარმეო ეკონომიკურ ან სხვა რაიმე საქმიანობას.

ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: ფართის იჯარით გაცემა, რეკვიზიტების გაქირავება, ფილმის ჩვენების ნებართვა, ასევე ეწევა სხვადასხვა სახის მომსახურებას კონოწარმოების, კინოფილმის დისტრიბუციის, ასევე პროექტებს კინომემკვიდრეობის დაცვის, მოვლისა და რესტავრაციის კუთხით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა), რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს არის მეტად გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
1 დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღივებო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მიხედვით, რომელიც გამოცემულია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

განგარიშების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა უძრავი ქონებისა, რომელიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელზე თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ჯგუფის სამომავლო ფუნქციონირების საკითხი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის ფუნქციონირების განგრძობითობის კონცეფციის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საქართველოში არსებული ფინანსური ინსტიტუტების არსებული მაკროეკონომიკური გარემო, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

ჯგუფის მენეჯმენტი მივიჩნევთ რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

უცხოური სავალუტო ოპერაციები. ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ის სადაც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას. ჯგუფის ფუნქციონალური და საპროცენტო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

ფული და ფულის ექვივალენტები.

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულით ჯგუფში შემავალი სუბიექტების სალაროში და საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ნაშთებისგან.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისაა სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომელთათვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს,

იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდივნებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც ჯგუფმა შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი ადმინისტრაციული საქმიანობისთვის ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წრმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშებში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასიცოცხლო პერიოდი
შენობები	35 წელი
ნაგებობები	5 წელი
მანქანა დანადგარები	5 წელი
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სპეციალური ინსტრუმენტები	3 წელი

ამონაგების აღიარება

ჯგუფი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ფართის იჯარით გაცემა, რეკვიზიტების გაქირავება და ფილმის ჩვენების უფლების რეალიზებით მიღებული შემოსავალი. ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

მოგების გადასახადები.

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

საკუთარი კაპიტალი.

ჯგუფის კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლის შენატანს, რომელიც შევსებულია ქონებრივი და ფულადი შენატანით.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

თავდაპირველი აღიარება დაკავშირებულია მხარის ოპერაციებთან. ჩვეულებრივად, ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). I

ASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება).

შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება)

შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე

გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება)

შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით. ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში).

ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

► ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

► მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (ადრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

► „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;

- ▶ ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ▶ ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- ▶ მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ▶ ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ▶ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- ▶ საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- ▶ საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- ▶ საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2024 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2023 წ. (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	973	552
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	428 295	655 885
	429 269	656 437

6. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2024 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2023 წ. (ლარი)
ადგილობრივი დამკვეთები	776 440	675 222
მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების გაუფასურება	(281 522)	(217 442)
	494 918	457 781

ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მოკლევადიანი და უპროცენტო. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს ჯგუფს საკრედიტო რისკის ქვეშ, შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისგან. ყოველი წლის ბოლოს ჯგუფი აფასებს დებიტორების გადახდისუნარიანობას და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს რეზერვებს. ყველა მოთხოვნა არის დენომინირებული ლარში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომსახურებიდან და მიწოდებიდან მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი გაიზარდა 64,080 ლარით.

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სპეც ინსტრუმენტები	სხვა	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)		
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16 755 614	32 126	189 088	113 295	384 692	61 723	6 766 102	32 548	24 335 187
დამატება	91 463	-	-	2 524	10 388	14 667	4 768	7 156	130 966
სულ ისტორიული ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16 847 077	32 126	189 088	115 819	395 080	76 390	6 770 869	39 704	24 466 154
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	88 246	32 126	189 088	96 127	331 547	61 150	6 755 796	23 528	7 577 608
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	98 809	-	-	4 359	19 903	2 366	4 310	3 285	133 032
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	187 055	32 126	189 088	100 487	351 450	63 515	6 760 106	26 813	7 710 640
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16 660 022	-	-	15 332	43 630	12 875	10 764	12 891	16 755 514

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სპეც ინსტრუმენტები	სხვა	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)		
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20 861 751	32 126	189 088	96 261	353 898	61 723	6 752 928	27 288	28 375 061
დამატება	8 847	-	-	17 034	30 794	-	13 174	5 261	75 110
გადაფასება	(4 114 984)	-	-	-	-	-	-	-	(4 114 984)
სულ ისტორიული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16 755 614	32 126	189 088	113 295	384 692	61 723	6 766 102	32 548	24 335 187
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	32 126	189 088	90 143	313 425	59 083	6 752 928	21 328	7 458 119
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	88 246	-	-	5 985	18 123	2 067	2 868	2 200	119 489
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	88 246	32 126	189 088	96 127	331 547	61 150	6 755 796	23 528	7 577 608
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16 667 367	-	-	17 168	53 145	573	10 306	9 020	16 757 579

8. არამატერიალური აქტივები

	ფილმები (GEL)	სხვ. არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 454 443	11 186	1 465 628
დამატება	107 422	-	107 422
სულ ისტორიული ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 561 865	11 186	1 573 050
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება			
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 685	2 685
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 685	2 685
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 561 865	8 501	1 570 366

	ფილმები (GEL)	სხვ. არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 276 817	11 186	1 288 003
დამატება	177 625	-	177 625
სულ ისტორიული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 454 443	11 186	1 465 628
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება			
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 685	2 685
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 685	2 685
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 454 443	8 501	1 462 944

9. საინვესტიციო ქონება

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	55 471 072	55 471 072
დამატება	52 064	52 064
სულ ისტორიული ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	55 523 137	55 523 137
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	269 850	269 850
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	275 184	275 184
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	545 034	545 034
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	54 978 102	54 978 102
	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	69 211 935	69 211 935
დამატება	35 388	35 388
(შემცირება)	(13 776 250)	(13 776 250)
სულ ისტორიული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	55 471 072	55 471 072
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	269 850	269 850
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	269 850	269 850
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	55 201 222	55 201 222

10. სხვა გრძელვადიანია ქტივები

	31 დეკემბერი, 2024 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2023 წ. (ლარი)
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6 739	6 739
	<u>6 739</u>	<u>6 739</u>

11. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2023 წ. (ლარი)
რეზიდენტი კომპანიები	69 028	68 759
რეზიდენტი ფიზიკური პირები	3 600	0
	<u>72 628</u>	<u>68 759</u>

სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. ჯგუფს გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახედვა. ყველა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დენომინირებულია ლარში.

12. საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2023 წ. (ლარი)
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ ასახული გადასახადები	583	14 843
ავანსის დღე	(9 312)	(5 666)
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	17 935	23 567
	<u>9 207</u>	<u>32 743</u>

13. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2023 წ. (ლარი)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	19 069	18 977
სახელშეკრულებო ვალდებულებები	18 683	27 561
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	2 320	8 674
	40 072	55 213

14. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2023 წ. (ლარი)
გრძელვადიანი დივიდენდის მოგების გადასახადი	44 274	44 274
	44 274	44 274

15. სააქციო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ქართული ფილმის“ სააქციო კაპიტალი შეადგენს 12 898 870 ლარს. (2023: 12 898 870 ლარი).

16. ამონაგები

	2024 წელი (ლარი)	2023 წელი (ლარი)
ამონაგები საიჯარო მომსახურებიდან	1 885 753	2 016 128
ამონაგები ფილმის ჩვენების უფლებიდან	10 264	4 915
სხვა ამონაგები	18 792	2 050
	1 914 809	2 023 094

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი (ლარი)	2023 წელი (ლარი)
თანამშრომელთა ანაზღაურება	819 600	702 250
საკანცელარიო ხარჯი	1 998	828
კომუნიკაციის ხარჯები	20 186	20 125
კომუნალური ხარჯები	18 055	18 171
საკონსულტაციო ხარჯი	31 110	30 667
საგადასახადო ხარჯები	141 470	150 897
საბანკო ხარჯები	620	765
მივლინების ხარჯები	9 775	9 753
წარმომადგენლობითი ხარჯები	5 799	2 695
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	100 310	121 915
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	80 512	57 932
	1 229 436	1 115 996

18. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024 წელი (ლარი)	2023 წელი (ლარი)
კომუნალური ხარჯები	493 428	496 586
ცვეთის ხარჯები	408 216	389 339
	901 644	885 925

19. სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)

	2024 წელი (ლარი)	2023 წელი (ლარი)
მიღებული დაფინანსება	109 723	60 000
მიღებული დაფინანსების ფარგლებში გაწეული ხარჯები	(43 845)	-
უსასყიდლოდ გაცემული მიწის ნაკვეთები	-	(17 891 234)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	26	2 947
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	(241)	(25 219)
სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ჯარიმ	-	(83 883)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(2 985)	(109)
	62 678	(17 937 497)

20. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა (ძირითადად – ფინანსური დაწესებულებებისა). ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

21. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს სასამართლო დავები არ ჰქონდა.

22. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ

ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

ჯგუფს შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის საფრთხე წარმოიშობა იმის შედეგად, რომ კომპანია ყიდის პროდუქტებს საკრედიტო პირობებით და სხვა ტრანზაქციებისგან, სადაც კონტრაგენტები წარმოქმნიან ფინანსურ აქტივებს.

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცოცავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. 2024 წლის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია სესხები, შესაბამისად არ არსებობს საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფი არ ახდენს სავალუტო რისკის დაზღვევას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ლიკვიდურობის მაჩვენებელი, 2024 წლის 31 დეკემბრისა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოცემულია ქვედა ცხრილში საგადასახადო ვალდებულების გათვალისწინებით:

წელი	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულები	სხვაობა
2023	1 147 252	156 714	990 538
2024	993 783	121 908	871 875

23. დაკავშირებული მხარეები

მენეჯმენტის ანაზღაურებამ 2024 წლის განმავლობაში შეადგინა 139,893 ლარი, 2023 წელს - 126,294 ლარი.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 06 ივნისს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება:

1. არსებული იურიდიული მართვის სტრუქტურის შეცვლა და ახალ, შემუშავებულ მოდელზე გადასვლა.
2. კინოსარესტავრაციო საამქროს განვითარება (ამისთვის არსებობს ცალკე ბიზნეს-გეგმა), როგორც ტექნიკური, ისე ადამიანური რესურსების გაზრდის კუთხით.
3. ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმა, რაც გულისხმობს არსებული ტერიტორიის მაქსიმალურ ათვისებას კინოინდუსტრიაში საჭირო შენობა-ნაგებობის აშენება- მოდერნიზაციის კუთხით, ინვესტორთათვის საინტერესო წინადადებების მომზადება.
4. ნაწარმოები კინოფილმების გასაღების ახალი ბაზრების მოძიება და დისტრიბუცია.
5. კინოწარმოების სერვისების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდა.
6. შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას ანიმაციური ფილმების წარმოების კუთხით (ამისთვისაც არსებობს პროექტი "იასამნისფერი ზონა")
7. თანამშრომლების გადამზადებაზე ზრუნვა, რათა სტუდია არ ჩამორჩეს თანამედროვე კინოპროცესებსა და ტექნოლოგიებს.
8. მოძველებული აპარატურის აუქციონზე გატანა და ფინანსების მოზილიზება ახალი ტექნიკის შესაძენად.
9. ფინანსების მოძიება ახალი და არსებული პროექტების განსახორციელებლად.

დირექტორთა საბჭო:

თავმჯდომარე/დირექტორი:

ხ. ხაუნაძე

ხათუნა ხუნდაძე

დირექტორი:

გიორგი ხარებავა

გიორგი ხარებავა

დირექტორი:

მერაბ კოკოჩაშვილი

მერაბ კოკოჩაშვილი



სს ქართული ფილმი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (1 ლარი)
2024 წლის 31 დეკემბერი

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	429 269	656 437	5
სავაჭრო მოთხოვნები	494 918	457 781	6
მარაგები	8 177	8 889	
საგადასახადო აქტივები	6	86	
გადახდილი ავანსები	43 497	12 781	
სხვა მიმდინარე აქტივები	17 915	11 279	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	993 783	1 147 252	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	16 755 514	16 757 580	7
არამატერიალური აქტივები	1 570 366	1 462 944	8
საინვესტიციო ქონება	54 978 102	55 201 222	9
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6 739	6 739	10
გრძელვადიანი აქტივები სულ:	73 310 721	73 428 484	
აქტივები სულ:	74 304 503	74 575 736	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	72 628	68 759	11
საგადასახადო ვალდებულებები	9 207	32 743	12
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	40 072	55 213	13
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	121 908	156 714	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	44 274	44 274	14
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	44 274	44 274	
კაპიტალი და რეზერვები:			
სააქციო კაპიტალი	12 898 870	12 898 870	15
გადაფასების რეზერვი	12 010 377	12 010 377	
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	49 229 075	49 465 501	
კაპიტალი სულ:	74 138 322	74 374 748	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	74 304 503	74 575 736	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 06 ივნისს
დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:
დირექტორთა საბჭო:

თავმჯდომარე/წევრი:

წევრი:

წევრი:

ხათუნა ხუნდაძე

გიორგი ხარებავა

მერაბ კოკოჩაშვილი

11-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

სს ქართული ფილმი
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება (1 ლარი)
2024 წლის 31 დეკემბერი

	2024 წელი	2023 წელი	შენიშვნა
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1 914 809	2 023 094	16
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	1 914 809	2 023 094	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 229 436)	(1 115 996)	17
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი	(61 368)	11 231	
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შემოსავალი/(ხარჯი)	(901 644)	(885 925)	18
სხვა საოპერაციო ხარჯები	(277 638)	32 403	
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან			
ფინანსური შემოსავალი	2 261	3 179	
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	358	127	
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	62 678	(17 937 497)	19
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(212 340)	(17 901 789)	
მოგების გადასახადი	(24 085)	(18 792)	
წლის წმინდა მოგება	(236 426)	(17 920 581)	
წლის სრული შემოსავალი	(236 426)	(17 920 581)	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 06 ივნისს
დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორთა საბჭო:

თავმჯდომარე/წევრი:

წევრი:

წევრი:

ხათუნა ხუნდაძე

გიორგი ხარებავა

მერაბ კოკოჩაშვილი

11-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

სს ქართული ფილმი
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (1 ლარი)
2024 წლის 31 დეკემბერი

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 134 745	2 255 646
მიღებული თანხები მყიდველებისგან/მომსახურების მიმღებებისგან	109 723	60 000
მიღებული დაფინანსება	(1 121 121)	(981 255)
გადახდილი თანხები მომწოდებელზე/მომსახურების გამწევზე	(601 818)	(611 328)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	8	5 276
თანამშრომლისგან მიღებული ფულადი სახსრები	(579 577)	(560 061)
გადახდილი გადასახადები	(5 914)	(31 966)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(63 954)	136 312
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:		
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(165 834)	(85 624)
ძირითადი საშუალებების შეძენა	2 261	3 178
მიღებული პროცენტები	(163 573)	(82 446)
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:		
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/(კლება)	358	127
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ნაზრდი:	(227 168)	53 993
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	656 436	602 443
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს:	429 268	656 436

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 06 ივნისს
დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორთა საბჭო:

თავმჯდომარე/წევრი:

წევრი:

წევრი:

ხათუნა ხუნდაძე

გიორგი ხარებავა

მერაბ კოკორაშვილი

11-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

სს ქართული ფილმი
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (1 ლარი)
2024 წლის 31 დეკემბერი

საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022-თვის	12 010 377	67 386 081 (17 920 581)	92 295 328 (17 920 581)
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	12 010 377	49 465 500	74 374 747
ნაშთი 31.12.2023-თვის	12 010 377	49 465 500 (236 426)	74 374 747 (236 426)
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	12 010 377	49 229 075	74 138 322
ნაშთი 31.12.2024-თვის	12 010 377	49 229 075	74 138 322

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 06 ივნისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორთა საბჭო:

თავმჯდომარე/წევრი:

წევრი:

წევრი:

ხათუნა ხუნდაძე

გიორგი ხარებავა

მერაბ კოკოჩაშვილი



11-28 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.